



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაშტიკიძე”

სოციალური სფეროს აუდიტის

დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეყილაძე

9. 

“25” “07” 2018 წელი

№ 48/36

ეგზ.: №1

საქართველოს სკოტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური
აუდიტის ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტება.....	3
ზოგადი ინფორმაცია.....	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა.....	9
1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	9
1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველი.....	9
1.2.1 კონსოლიდაცია.....	9
1.2.2 მოკლევადიანი აქტივები(მარაგები).....	11
1.2.3 გრძელვადიანი აქტივები	11
1.2.4 საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობა (მაშტაბის შეზღუდვა).....	12
1.2.5 საცნობარო მუხლი.....	14
1.2.6 ოპერაციის არასწორ საანგარიშგებო პერიოდზე მიკუთვნება	14
1.2.7 განმარტებითი შენიშვნები.....	15
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	16
2.1 აღრიცხვა - ანგარიშგება.....	16
2.2 შრომის ანაზღაურება.....	16
2.3 გამოუყენებელი აქტივები.....	17
2.4 ფედერაციების დაფინანსება.....	17
2.5 მთავრობის სარეზერვო ფონდი	18
2.6. ინფრასტრუქტურული პროექტები.....	21
3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	23
4 აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	24
5. აუდიტორთა ხელმოწერა	26
6. დანართები - სამინისტროს (პროგრამული კოდი: 39 00) ფინანსური ანგარიშგება	27

ტერმინთა განმარტება

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო - **სპორტის სამინისტრო**;

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი - **მინისტრი**;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სსიპ**;

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - **შპს**;

საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N 429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია - **აღრიცხვის ინსტრუქცია**

სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი“ - **ოლიმპიური რეზერვების ცენტრი**


ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სახელმწიფო მმართველობის ორგანოა. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება. სამინისტროს პროგრამული კოდია 39 00.

სამინისტროს ამოცანებია:

-)/ სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავება, დაგეგმვა და მისი რეალიზების კოორდინაცია;
-)/ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების სფეროებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავება და მისი გატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელება; სათანადო პირობების შექმნა ზოგადად სპორტის და სპორტის სახეობათა ტრადიციების შენარჩუნების, დაცვისა და განვითარებისათვის;
-)/ ფიზიკური აღზრდის, ზოგადად სპორტისა და სპორტის სახეობათა ტრადიციების შენარჩუნების, დაცვისა და განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა, სპორტის განვითარების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისა და სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტის ეროვნულ სახეობათა განვითარების ყოველმხრივი ხელშეწყობა;
-)/ „სპორტი ყველასათვის“, „უმალესი მიღწევების სპორტის“ მიმართულებებისა და პროფესიული სპორტის დარგების განვითარება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სპორტული მოძრაობებისა და ღონისძიებების განხორციელების კოორდინაცია;
-)/ სპორტულ ასოციაციებთან, კავშირებთან, სპორტულ საზოგადოებებთან, ფედერაციებსა და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, მათი საქმიანობის ხელშეწყობა;
-)/ დადგენილი წესით მოქმედი საკანონმდებლო ბაზის დასახვეწად თავისი გამგებლობის სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება;
-)/ კანონით დადგენილი წესით სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებისათვის ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების განაწილება.

სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდირება განხორციელდა სამინისტროს აპარატის და მისი მმართველობის სფეროში შემავალი სტრუქტურული ერთეულების (5 სსიპ და ერთი ა(ა)იპ) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე:



„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროს 2017 წლის ასიგნებები განისაზღვრა 136,820,000 ლარის ოდენობით. 2017 წლის 1 დეკემბერს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად სამინისტროს ასიგნება გაიზარდა 10,000,000 ლარით და შეადგინა 146,820,000 ლარი, ხოლო დაზუსტებულმა გეგმამ 178,282,120 ლარი შეადგინა, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 31,462,120 ლარის გამოყოფის საფუძველზე.

სამინისტროს სისტემისთვის (კოდი 39 00) გამოყოფილი ასიგნებები დაგეგმილი იყო 4 პროგრამის დასაფინანსებლად, რომელთა მიხედვით გეგმური და საკასო ხარჯვის მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილში.

ცხრილი N1. სამინისტროს 2017 წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები (ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო ხრჯი	სხვაობა დამტკიც. და დაზუსტ. შორის	შესრულების %
39 00	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	146,820,000	178,282,120	182,455,475 ¹	-31,462,120	102%
39 01	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (აპარატი)	2,850,000	17,427,000	21,827,076	-14,577,000	125%
39 02	სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	134,085,000	150,278,920	149,987,286	-16,193,920	100%
39 03	სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები	6,040,000	6,744,300	6,737,890	-704,300	100%
39 04	ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები	3,845,000	3,831,900	3,903,223	13,100	102%


¹ სხვაობა დაზუსტებულ ბიუჯეტსა და საკასო ხარჯს შორის არის 2017 წელს გრანტის სახით მიღებული თანხები

ცხრილი N2. 2017 წლის ასიგნებები და ხარჯვა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო ხრჯი	სხვაობა დამტკიც. და დაზუსტ. შორის	შესრულების %
39 00	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	146,820,000	178,282,120	182,455,475	-31,462,120	102%
	ხარჯები	105,320,000	134,575,886	138,826,179	-29,255,886	103%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	800,000	6,601,329	6,524,392	-5,801,329	99%
	ფინანსური აქტივების ზრდა	40,700,000	35,104,905	35,104,905	5,595,095	100%
	ვალდებულებების კლება	0	2,000,000	2,000,000	-2,000,000	100%

ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა ასახავს 2017 წელს საბიუჯეტო, მთავრობის ფონდიდან გამოყოფილი და გრანტით მიღებული სახრების წილს სამინისტროს მთლიან საკასო ხარჯში.

დიაგრამა N1. 2017 წელი²



²ბიუჯეტი 146,300,340 ლარი, სარეზერვო ფონდი 31,451,600 ლარი, გრანტი 4,703,530 ლარი

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში 2017 წლის 7 დეკემბერს შეტანილი ცვლილების³ შესაბამისად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის მართვის მიმართულების და სამინისტროს სისტემაში შემავალი შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირების⁴ უფლებამონაცვლეა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

2018 წლის 30 მარტს⁵ ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ანგარიშგებას ახალგაზრდობის კომპონენტის (კოდი 39 04) გარეშე.

³ №1620-რს

⁴ გარდა ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებებისა ,ეს მიმართულება გადაეცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

⁵ N04/14-1948

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს:

-)/ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
-)/ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
-)/ ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
-)/ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას;
-)/ ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას;
-)/ ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს⁶ აღნიშნული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.2.1 კონსოლიდაცია

ა(ა)იპ „ზევსი“ წარმოადგენს სამინისტროს კონტროლირებულ ერთეულს, ვინაიდან ის დაფუძნებულია ოლიმპური რეზერვების ცენტრის მიერ 2015 წლის 17 მარტს⁷. ა(ა)იპ „ზევსი“ 2015, 2016 და 2017 საანგარიშგებო წლების ფინანსური ანგარიშგება არ მოუმზადებია, შესაბამისად ა(ა)იპ-ის ფინანსური მდგომარეობის და ფინანსური შედეგების მონაცემები არ არის ასახული ოლიმპური რეზერვების ცენტრის ინდივიდუალურ და სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში⁸.

⁶ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება. დანართები 1-დან 13-მდე.

⁷ N 1/51 ბრძანება

⁸ ა(ა)იპ „ზევსმა“ ბალანსი მოამზადა აუდიტის ჯგუფის მოთხოვნით

საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად ⁹ ა(ა)იპ „ზევსი“ წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციას, შესაბამისად მისი ფინანსური ანგარიშგების მონაცემები ექვემდებარებოდა ოლიმპური რეზერვების ცენტრის ინდივიდუალურ და სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას.

ცხრილი N3. ინფორმაცია ა(ა)იპ „ზევსის“ საბალანსო ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ

დასახელება	ანგარიში	2017 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)	2016 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
აქტივები			
ფულადი სახსრები	1100-1200	55,536	15,961
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	48,533	23,869
სხვა მატერიალური მარაგები	1620	0.00	0.00
ბალანსი		104,070	39,831
ვალდებულებები			
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	34,618	28,585
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		34,618	28,585
კაპიტალი			
აქტივების წმინდა ღირებულება	5100	14,781	0.00
გაუნაწილებელი მოგება	5220	54,669	11,246
ბალანსი		104,070	39,831

გავლენა-კონსოლიდირებული საბალანსე ანგარიშების საწყისი და საბოლოო ნაშთი შემცირებულადაა წარმოდგენილი - აქტივები 39,831 და 104,070 ლარით, ვალდებულებები 28,585 და 34,618 ლარით, ხოლო კაპიტალი 11,246 და 69,452 ლარითაა შემცირებული.

შედეგად, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილი სრული ინფორმაციით სამინისტროს სისტემის აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის შესახებ.

⁹ მე-6 მუხლის „ს“ პუნქტი

1.2.2 მოკლევადიანი აქტივები(მარაგები)

- ჟ) ბალანსის საცნობარო მუხლში „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები“ ნაშთად ირიცხება „სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლების პროგრამის“ ფარგლებში სხვა ორგანიზაციებზე უსასყიდლოდ გადაცემის მიზნით შესყიდული 103,788 ლარის მატერიალური ფასეულობა¹⁰, საიდანაც 47,688 ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი შეძენილია 2017 წლამდე პერიოდში. აღნიშნული მატერიალური ფასეულობები უნდა ასახულიყო „შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელის“ საბალანსო ანგარიშზე და გახორციელებულიყო მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება.
- ჟ) სსიპ „ოლიმპიური რეზერვების ცენტრის“ ბალანსის „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ ანგარიშზე 2016 წლიდან უცვლელი ნაშთის სახით ირიცხება 25,200 ლარის ღირებულების, 11,200 ლიტრი საავტომობილო საწვავი(ბენზინი). ადგილზე ჩატარებული დათვალიერების პროცედურებით¹¹ აღნიშნული საწვავის არსებობა არ დასტურდება. აღსანიშნავია, რომ 2016-2017 წლებში ჩატარებულ ცენტრის ბალანსზე რიცხული მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციით საწვავის დანაკლისის დაფიქსირება, მატერიალურად პასუხისმგებელი პირის გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება არ განხორციელებულა. „ოლიმპიური რეზერვების ცენტრის“ ბალანსის „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ ანგარიშზე ბუღალტრულად რიცხული 11,200 ლიტრი საავტომობილო საწვავის დანაკლისის ღირებულება 25,200 ლარის ოდენობით დაფარული იქნა აუდიტის მიმდინარეობისას, 2017 წლის 11 ივნისს.¹²

გავლენა- კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „სხვა მატერიალური მარაგების“ ანგარიშზე არსებული ნაშთი 78,588 ლარის ნაკლებობითაა წარმოდგენილი.

1.2.3 გრძელვადიანი აქტივები

აქციები და კაპიტალი

2013-2017 წლებში სამინისტრომ განახორციელა მისი მართვის ქვეშე მყოფი შპს „სპორტმშენის“ საწესდებო კაპიტალში ქონებრივი შენატანი მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების სახით ღირებულებით 9,966,315 ლარი. აღნიშნული ფინანსურ აქტივებით ოპერაცია არ არის ასახული სააღრიცხვო რეგისტრებში.

¹⁰ სპორტული ფორმები, ბურთები, ბადეები და სხვა სახის ინვენტარი

¹¹ ოლიმპიური რეზერვების მთავარი ბუღალტრის განმარტებით ბარათით

¹² ჩარიცხულია ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე, საგადასახადო დავალება N 1

ძირითადი აქტივები

სამინისტროს აპარატის ბალანსის საცნობარო მუხლში „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები“¹³ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთად ირიცხება 541,372 ლარის ღირებულების უძრავი ქონება. კერძოდ სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განლაგებული ხელოვნური და ასფალტის საფარის მქონე, 440,305 ლარი საერთო ღირებულების 13 სპორტული მოედანი და თბილისის ზღვის მიმდებარედ 5795 კვ/მ-ზე განთავსებული ტურისტული სახლი „თბილისის ზღვა“¹⁴ ღირებულებით 101,067 ლარი. 2010 წლის პირველ ივლისამდე¹⁵ აღნიშნული ქონება ირიცხებოდა ყოფილი „საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს“ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-„საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის“ ბალანსზე, რომლის სამართლამემკვიდრეს წარმოადგენდა ამავე დასახელების სამინისტრო და მის მიერ ქონების აღრიცხვა ძირითადი აქტივების შემადგენლობაში არ განხორციელებულა.

გავლენა - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ფორმა 1) „გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების“ და ძირითადი აქტივების ანგარიშები შესაბამისად 9,966,315 ლარით და 541,372 ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი.

1.2.4 საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობა (მაშტაბის შეზღუდვა)

შეუფასებელი და აღურიცხავი აქტივები

საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით ა(ა)იპი „ზევსს“ 2016 წელს 49 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის სახით გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის სამი ნაკვეთი, მასზედ დამაგრებული შენობა- ნაგებობებით.

¹³ ამ მუხლში აღირიცხება მხოლოდ ორგანიზაციის მიერ შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე დროებით, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები.

¹⁴ ფაქტობრივად ცხოვრობენ იძულებით გადაადგილებული პირები

¹⁵ სამინისტროს შექმნამდე

ცხრილი N5

N	მისამართი	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების) კვ.მ.	შენობა-ნაგებობები	საკადასტრო კოდი
1	თბილისი, დიდმის სასწ. საცდელი მეურნეობა	68,125.00	N1-N2 საერთო ფართი 6,481.2 კვ.მ (მ.შ. სასარგებლო ფართი 4,019.8 კვ.მ, დამხმარე ფართი 2,461.4 კვ.მ.)	01.72.14.009.331
2	თბილისი, დიდმის სასწ. საცდელი მეურნეობა	49,948.00	N1 საერთო ფართი 9,549.18 კვ.მ (მ.შ. სასარგებლო ფართი 7,678.32 კვ.მ, დამხმარე ფართი 1,915.86 კვ.მ.) ნაგებობები N2 და N3	01.72.14.009.333
3	თბილისი, კოსტავას ქუჩა N45	3,795.00	შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 2,327.00 კვ.მ.	01.15.03.010.051

აღნიშნული მიწის ნაკვეთები და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები არ არის შეფასებული და აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში.

არ არის შეფასებული და ბალანსზე არაწარმოებული აქტივების მუხლით აღრიცხული, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი, რიგი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის ქონების ეროვნულ სააგენტოს მიერ სარგებლობის უფლებით გადაცემული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები.

მოსარგებლე	მიწის ნაკვეთის მისამართი	ფართი, კვ.მ.	საკადასტრო კოდი
		1,200.00	01.14.07.008.029
სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი“	თბილისი ჭავჭავაძის გამზირი N 49ა	1,813.00	01.14.07.008.029
		5,092.00	01.14.07.008.035
სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“	თბილისი ჭავჭავაძის გამზირი N 49ა	7,635.00	01.14.07.008.036
		1,500.00	01.14.07.008.037
		20,267.00	01.14.07.008.086

შესაბამისად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების „ძირითადი აქტივების“ და „არაწარმოებული აქტივების“ ანგარიშები სამართლიანად არ ასახავს სამინისტროს ფინანსურ

ფინანსური აუდიტის ანგარიში

მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული შეუსაბამოების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის ეფექტის დადგენის შესაძლებლობის არქონის გამო, ვერ მივიღეთ სათანადო რწმუნება აღნიშნული ანგარიშების ნაშთების სისრულეზე.

1.2.5 საცნობარო მუხლი

ინსტრუქციის 110-ე მუხლის¹⁶ მოთხოვნის შეუსაბამოდ, ამორტიზირებული ძირითადი აქტივები (სამინისტროს კუთვნილი სამი ავტომანქანა¹⁷, 97,699 ლარის ისტორიული ღირებულებებით) არ არის ასახული ბალანსის საცნობარო მუხლში „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“.

1.2.6 ოპერაციის არასწორ საანგარიშგებო პერიოდზე მიკუთვნება

სპორტული ფედერაციების მიერ საანგარიშგებო წელს 8,470,464 ლარის ღირებულების განხორციელებულ ღონისძიებებზე ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგინილი იქნა 2018 წლის პირველ კვარტალში, ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე¹⁸ პერიოდში. ღონისძიებების ჩატარების დამადასტურებელ პირველად დოკუმენტებში მითითებული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის თარიღიდან გამომდინარე¹⁹ აღნიშნული თანხების 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე მიკუთვნება არ განხორციელებულა. აღრიცხვის ინსტრუქციის²⁰ თანახმად, ოპერაციები და სხვა მოვლენები ბუღალტრულ ჩანაწერებში აღირიცხება პირველად დოკუმენტებში მითითებული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის თარიღით და მიეკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებას, როდესაც მას ჰქონდა ადგილი.

ბალანსის საცნობარო მუხლში „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები“ ნაშთად რიცხული წყალტუბოს პატრიოტთა ბანაკის ღირებულების, 24,750 ლარის ჩამოწერა და ხარჯად აღიარება განხორციელებულია ხარჯების შესაბამის ანგარიშზე გატარების გარეშე.

გავლენა- კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში (ფორმა N1) „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ საბოლოო ნაშთი გაზრდილია 8,470,464 ლარით, შესაბამისად ამავე თანხითაა გაზრდილი წმინდა ღირებულების საბოლოო ნაშთი, ხოლო ფინანსური შედეგების შესახებ (ფორმა N2) ხარჯები „სუბსიდიის“ მუხლით შემცირებულია 8,495,214 ლარით.

¹⁶ საცნობარო მუხლების აღრიცხვა

¹⁷ ა/მ ჰიუნდაი ვერაკრუზი-MSY-800, ჰიუნდაი გეტსი-MSY-200, RENAULT LOGAN VF 1LSRA msy-700

¹⁸ 1 აპრილი 2018 წელი

¹⁹ 2017 წლის განმავლობაში

²⁰ მე-9 მუხლის მე-11 პუნქტი

1.2.7 განმარტებითი შენიშვნები

შპს „სპორტშენსერვისი“ წარმოადგენს სამინისტროს კონტროლირებულ ერთულს, რომელიც კონსოლიდირებული არ არის და მისი კრებებითი ფინანსური ინფორმაცია აქტივების, ვალდებულებების, ნამეტისა და დეფიციტის ჯამური თანხების ჩათვლით უნდა გამჟღავნებულიყო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, რაც არ განხორციელებულა. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილი იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციით, რომელიც წარმოდგენილია „სპორტშენსერვისის“ ფინანსურ ანგარიშგებაში და რომლის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს ბალანსზე ირიცხება აქტივები 100,448,747 ლარის, კაპიტალი 93.595,264 ლარის და ვალდებულებები 6,853,483 ლარის ოდენობით.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 აღრიცხვა - ანგარიშგება

არასწორი კლასიფიკაცია

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ქ.თბილისსა და ქ. ქუთაისში ფეხბურთის და რაგბის 10 ერთეული სტანდარტული მოედნების და სათანადო დამხმარე ნაგებობების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულება 169,999 ლარი ასახულია „სხვა ნაგებობების“ ანგარიშზე. პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულებამდე საპროექტო სამუშაოების ღირებულებაც ექვემდებარებოდა დაუმთავრებელ ძირითადი აქტივების ანგარიშზე აღრიცხვას.

შესაბამისად, კონსოლიდირებული ბალანსის ფინანსური ანგარიშგების დანართ N1-ში, „სხვა ნაგებობების“ ანგარიში 169,999 ლარის მეტობითაა წარმოდგენილი.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

ოლიმპიური რეზერვების ცენტრის ბალანსზე²¹ ძირითადი აქტივების ანგარიშზე აღრიცხული იყო და შესაბამისად ცვეთა ერიცხებოდა ისეთ აქტივებს, რომლებიც საწყისი საბალანსო ღირებულებებიდან გამომდინარე არ მიეკუთვნებიან ძირითად აქტივებს.²²

სამინისტროს კონსოლიდირებული ბალანსის ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „ძირითადი აქტივები“ 8,785 ლარით ზედმეტად, ხოლო ბალანსის ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში „ხარჯები“ (ძირითადი კაპიტალის მოხმარება) 4,081 ლარით ნაკლებობითაა წარმოდგენილი. შესაბამისად 4,081 ლარითაა გაზრდილი ბალანსის „აქტივების წმინდა ღირებულების“ მუხლი.

2.2 შრომის ანაზღაურება

ა(ა)იპ „ფეხბურთის განვითარების ფონდზე“ ვრცელდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის²³ და შესაბამისად საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის 22-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნები, რომელთა თანახმად, ფონდში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებული თანამშრომლების საშუალო თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს 1,500 ლარს, ხოლო ფონდის დირექტორის სარგო,

²¹ 2008 წლიდან

²² აღრიცხვის ინსტრუქციის 67-მუხლის მე-4 პუნქტი

²³ ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“²⁴ ქვეპუნქტით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე ვრცელდება ამ კოდექსით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის განსაზღვრული რეგულაციები, მათ შორის, შემდეგ ღონისძიებებთან დაკავშირებული დებულებები:

ა) სესხის აღება და თავდებობა;

ბ) ბიუჯეტის, სახელფასო წესისა და სახელფასო ფონდის განსაზღვრა;

გ) საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა, ანგარიშგება და ბალანსის წარმოება.

მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობრივ სარგოს 2,950 ლარს. აუდირებულ პერიოდში²⁴, ფონდის დირექტორის თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 6,250 ლარს, დირექტორის მოადგილისა და ფინანსური მენეჯერის 3,125-3,125 ლარს, ხოლო ფონდში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებული თანამშრომლების საშუალო თანამდებობრივი სარგო 3,000 ლარს²⁵. შედეგად, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გაწეულ იქნა 39,600²⁶ ლარის ხარჯი. (ფონდის დირექტორის ხელფასი).

2.3 გამოუყენებელი აქტივები

ოლიმპიური რეზერვების ცენტრის 2015 წლის 22 ოქტომბრის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 30 ოქტომბრის და სპორტის სამინისტროს 2015 წლის 2 ნოემბრის წერილების²⁷ შესაბამისად საბრძოლო ხელოვნებათა შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით ოლიმპიური რეზერვების ცენტრს სარგებლობის უფლებით²⁸ გადაეცა ქ. თბილისში მძევი გარიშვილების ქუჩა N8-ის მიმდებარედ არსებული 29,570 ლარის ღირებულების 984 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და ამ ნაკვეთზე განთავსებული 55,000 ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობა²⁹. აღნიშნული აქტივების დანიშნულებისამებრ გამოყენება გადმოცემიდან დღემდე არ განხორციელებულა. შენობა-ნაგებობას ყოველწლიურად ერიცხება ცვეთა,³⁰ მისგან ეკონომიური სარგებლის და მომსახურების პოტენციალის მიღება კი არ ხდება.

2.4 ფედერაციების დაფინანსება

2017 წელს საქართველოში სპორტის სხვადასხვა სახეობაში დარეგისტრირებული სპორტული ფედერაციების სუბსიდიის სახით დაფინანსების³¹ საერთო მოცულობამ შეადგინა 72,828,669 ლარი (სამინისტროს მთლიანი ასიგნების 39.9%). ფედერაციებისათვის თანხების გადარიცხვა ხდება წინასწარი ანგარიშსწორებით მათ მიერ წარმოდგენილი წერილისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად³², ხოლო გადარიცხული თანხების ხარჯად აღიარება სამინისტროში ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ³³.

²⁴ ანალოგიური იყო სიტუაცია 2016 წელს

²⁵ სამინისტროს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შეთანხმება საქართველოს მთავრობასთან საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვებიდან გამონაკლისის დაშვების თაობაზე.

²⁶ $(6,250 - 2,950) \times 12$

²⁷ N 5/243, N 5/64354 და N08/3335

²⁸ არსებობის ვადით

²⁹ საკადასტრო კოდი 01.12.03.028.008

³⁰ ცვეთის სახით დარიცხულია 2,805 ლარი. აღრიცხვის ინსტრუქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ა ქვეპუნქტი

³¹ დაფინანსებულია 68 ფედერაცია.

³² წინასწარ სუბსიდიის სახით გადარიცხული თანხები აღირიცხება სამინისტროს დებიტორულ დავალიანებაში.

³³ ფედერაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

სამინისტროს ბალანსზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით ფედერაციებზე რიცხულმა დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 10,514,383 ლარი, აქედან 9,507,245 ლარის დავალიანება წარმოშობილია 2017 წლის ღონისძიებების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტების სამინისტროში წარმოდგენილობის შედეგად. 431,177 ლარი წარმოშობილია 2016 წელს, ხოლო 575,961 ლარი 2012-2015 წლებში. 2017 წელს წარმოშობილი დავალიანებებიდან 2,294,441 ლარი და 2016 წლის დავალიანებებიდან 431,177 ლარი ერიცხება ხელშეკრულების ფედერაციას, 2,157,750 ლარი კალათურის ფედერაციას, 1,260,000 ლარი კი ფეხბურთის ფედერაციას.

ფედერაციების მიერ სამინისტროსათვის მიღებული თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის დადგენილ ვადებში წარმოდგენისა და შესაბამისად დებიტორული დავალიანებების დაფარვის მიზნით ქმედითი ღონისძიებები³⁴ გატარებული არ არის. მაშინ როცა ანგარიშსწორების წესის შესაბამისად³⁵ ფედერაციების მიერ მიღებული თანხების ხარჯვაზე დოკუმენტაციის დადგენილ ვადებში არწარმოდგენის ან დოკუმენტაციის არასწორად ან/და არასრულად წარმოდგენის გამო, სამინისტროს მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე საფუძვლიანად უარის თქმის და ფედერაციის მიერ მიღებული თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ღონისძიების დაფინანსებასთან დაკავშირებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის ექვემდებარებოდა სამართალდამცავ ორგანოებზე გადაგზავნას.

2.5 მთავრობის სარეზერვო ფონდი

სპორტის სამინისტროს 2017 წელს სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 31,462,120 ლარი.

ნორმატიული აქტის N და თარიღი	გამოყოფილი თანხის მიზნობრიობა (დანიშნულება)	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	ფაქტობრივი ხარჯი	დაგეგმვის ეტაპზე ბიუჯეტში გაუთვალისწინებლობის მიზეზი
N551 23.03.2017	სპორტსმენთა დაჯილდოების მიზნით	575,000	575,000	575,000	ჯილდოების გაიცემა სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით.

³⁴ N 180 ბრძანების მე-4 მუხლის შესაბამისად

³⁵ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი

N1042 29.05.2017	2017 წლის მაის-ივნისში, საქართველოში გასამართი, რაგბში 20 წლამდელოთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის მაღალ დონეზე ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად	5,000,000	5,000,000	4,906,063	რაგბის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის დასაფინანსებლად საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა (20,000.0 ათ.ლარი) არ იქნა გათვალისწინებული 2017 წლის ბიუჯეტში - (დამტკიცდა 11,125.0 ათ.ლარი)
N1436 12.07.2017	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისათვის	522,000	517,250	517,250	საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა (1,500.0 ათ.ლარი) არ იქნა გათვალისწინებული 2017 წლის ბიუჯეტში (დამტკიცდა 520.0 ათ.ლარი)
N1674/2607 10.08.2017	საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის 2017 წლის ხარჯების დაფინანსების მიზნით	7,000,000	6,999,936	4,344,028	საბიუჯეტო განაცხადით ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის (მთ. N107 დადგენილება) შესაბამისად მოთხოვნილი თანხა არ იქნა გათვალისწინებული ბიუჯეტის კანონში (დამტკიცდა 30,200.0 ათ.ლარი)
N1675 10.08.2017	2017 წლის ბოლომდე „კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებისა და ხარჯების დაფინანსების მიზნით	2,000,000	1,999,341	740,141	საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა 8,350.0 ათ.ლარი არ იქნა გათვალისწინებული 2017 წლის ბიუჯეტში (დამტკიცდა 7,000.0 ათ.ლარი)
N1676 10.08.2017	სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ, არაოლიმპიურ და სპორტის ცალკეულ სათამაშო სახეობებში 2017 წლის ივნისის ჩათვლით და 2016 წლის მსოფლიო თასზე თავისუფალ ჭიდაობაში გამართულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების მიხედვით, საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა, მწვრთნელთა, საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალის ფულადი პრიზებით დაჯილდოების მიზნით	4,621,450	4,621,450	4,621,450	ჯილდოების გაიცემა სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით
N2544 07.12.2017	სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების განსახორციელებლად აღებული ვალდებულებების დაფინანსების მიზნით (23000000 ლარი)	2,300,000	2,297,950	706,219	საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილი თანხები არ იქნა გათვალისწინებული ბიუჯეტში, სტიპენდიების ზრდა გამოიწვია სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული წარმატებების შესაბამისად სტიპენდიის ბენეფიციართა

					რიცხოვნობის და სტიპენდიის მოცულობის გაზრდამ.
N2718 27.12.2017	სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების მიხედვით, საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების, მწვრთნელების, საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალის ფულადი პრიზებით დაჯილდოება.	9,443,670	9,443,670	8,305,690	ჯილდოების გაიცემა სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით
სულ:		31,462,120	31,454,597	24,715,842	

ფონდის თანხების 53% ანუ 16,822,000 ლარი გამოიყო ისეთი დანახარჯებისა და ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე იყო შესაძლებელი და სპორტის სამინისტროს საბიუჯეტო განაცხადით ამ ღონისძიებისათვის საჭირო რესურსი მოთხოვნილი ჰქონდა. მაგალითად:

- ⌋ „საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის³⁶ N107 დადგენილებით განისაზღვრა 2016-2021 წლების განმავლობაში განსახორციელებელი ძირითადი აქტივობები და შესაბამისი ხარჯების მოცულობები, რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე;
- ⌋ 2017 წლის მაის-ივნისში გასამართი რაგბში 20 წლამდე ჯგუფის შორის მსოფლიო ჩემპიონატის საქართველოში გამართვის შესახებ გადაწყვეტილება მსოფლიო რაგბის კავშირის მიერ მიღებული იყო ჯერ კიდევ 2015 წელს.

„კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებისა და ხარჯების დაფინანსების მიზნით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან³⁷ სამინისტროს გამოეყო 2,000,000 ლარი. აუდიტით დადგინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სამინისტროს მიერ ფედერაციაზე თანხები გადახდილი იქნა არა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფის თაობაზე მოთხოვნის წერილში აღნიშნული ღონისძიებების, არამედ ფედერაციის სხვა ხარჯების დაფინანსების მიზნით. ასე მაგალითად, სუპერლიგის გუნდების საბაზისო დაფინანსებისათვის ნაცვლად 560,000 ლარისა მიმართული იყო 470,000 ლარი. კლუბ „თბილისის დინამოს“ საკლუბო ევროლიგაზე მონაწილეობისათვის განსაზღვრული 200,000 ლარი მიმართული იქნა ფედერაციის სხვა ვალდებულებების დაფარვისათვის.

³⁶ 2016 წლის 26 თებერვლის

³⁷ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 აგვისტოს N1675 განკარგულება

2.6. ინფრასტრუქტურული პროექტები

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 ნოემბრის N 564 დადგენილების³⁸ შესაბამისად, საქართველოში 2017 წელს გასამართი მაშტაბური საერთაშორისო სპორტული ღონისძიებებისათვის³⁹ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ოთხი ერთეული მრავალპროფილიანი მულტიფუნქციური ორდარბაზიანი სპორტის სასახლის⁴⁰, თბილისში ჭიდაობის სახლისა და სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე 2016 წლის 4 ოქტომბერს სამინისტროს, შპს „სპორტმშენსერვის“ და ინტერესთა გამოხატვის პროცედურებში გამარჯვებულ კანადურ კომპანია „behlen Industrris L.P.“-ის შორის გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმდა 54,350,000 აშშ დოლარის ღირებულების სამშენებლო ხელშეკრულება⁴¹. ხელშეკრულების შესაბამისად პირველ ეტაპზე შესასრულებელი სამი ერთეული მრავალპროფილიანი მულტიფუნქციური ორდარბაზიანი სპორტის სასახლეების⁴² მშენებლობისათვის ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრული 33,875,000 დოლარის სამუშაოებიდან გათვალისწინებული იყო 11,000,000 აშშ დოლარის ოდენობის საავანსო თანხის გადახდა, ხოლო დარჩენილი 22,875,000 აშშ დოლარი გადახდილი უნდა ყოფილიყო შემდგომი 5 წლის განმავლობაში, წელიწადში 4,575,000 აშშ დოლარის ოდენობით.

ხელშეკრულების გაფორმებამდე შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის არ არსებობის გამო შეუძლებელია დადგინდეს რა ეკონომიკურ გათვლებსა და გაანგარიშებებზე დაყრდნობით მოხდა სახელშეკრულებლო ღირებულების დადგენა.

ხელშეკრულების შესაბამისად⁴³ საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების ინსპექტირებას, მიღებას და შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით თანხების გადარიცხვას, საწესდებო კაპიტალის შევსების მიზნით მიღებული თანხებიდან, აწარმოებს შპს „სპორტმშენსერვისი“. 2016-2017 წლებში სამინისტროდან შპს „სპორტმშენსერვისის“ ანგარიშზე გადარიცხულია 48,023,404 ლარი. საიდანაც 10,000,000 ლარი გადარიცხულია წინასწარ, როგორც 2018 წელს დასაფარი თანხა⁴⁴.

ხელშეკრულების პირობების თანახმად, სპორტის სასახლეების (ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ. თელავი) პროექტირება უნდა დასრულებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვეში, ხოლო სამშენებლო სამუშაოები არაუგვიანეს 2017 წლის 31 აგვისტოსი. პირობების შეუსრულებლობის⁴⁵ შემთხვევაში მიმწოდებელს ერიცხება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე, მაგრამ არა უმეტეს 180

³⁸ მუხლი N1

³⁹ ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატები ხელბურთში და რაგბში და 19 წლამდე ჯგუფის ჩემპიონატი ფეხბურთში

⁴⁰ ქ. ბათუმი, ქ. თელავი, ქ. გორი, ქუთაისი

⁴¹ N160

⁴² ქ. ბათუმი, ქ. თელავი, ქ. გორი

⁴³ 2016-2017 წლებში ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით სამუშაოების შემსრულებელ კომპანია „BEHLEN INDUSTRIES LP“-ზე

⁴⁴ შპს „სპორტმშენსერვისი“-ის მიერ კომპანია „behlen Industrris L.P.“-ის ანგარიშზე თანხების გადარიცხვის შესახებ მონაცემები დასადაგენია შპს „სპორტმშენსერვისი“-ში

⁴⁵ ხელშეკრულების მე-10 პუნქტი

დღისა, 0,02%-ის ოდენობით. 180 დღიანი ვადის დაწესების მართებულობისა და მიზანშეწონილობის შესახებ მონაცემები წარმოდგენილი ვერ იქნა.

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ქ.თბილისსა და ქ.ქუთაისში 10 ერთეული ფეხბურთის და რაგბის სტანდარტული მოედნების სათანადო დამხმარე ნაგებობებით მშენებლობაზე 2017 წლის მარტის თვეში გამოცხადებულ ელ. ტენდერში გამარჯვებულ უკრაინულ კომპანია შპს „მილენიუმ სპორტ“-თან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად⁴⁶, ქ.ქუთაისში მოედნების მოწყობის სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2017 წლის 30 აგვისტოს, ქ. თბილისში კი 30 სექტემბერს. 2017 წელს „მილენიუმ სპორტს“ 2017 წელს შესრულებული სამუშაოების შესაბამისად სპორტის სამინისტროს ასიგნებებიდან გადაერიცხა 6,127,974 ლარი ⁴⁷. სპორტული მოედნებისა და დარბაზების მშენებლობა დღეის მდგომარეობით დასრულებული არ არის.

⁴⁶ N 62 -სახელმწიფოებლო ღირებულება 10,777.777,0 ლარი

⁴⁷ რაც ბუღალტრულად აღრიცხულია დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ანგარიშზე

3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

4 აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთან, ჩვენ აგრეთვე:

- J ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.
- J შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სამინისტროს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- J ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- J დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვადგენთ არსებობს თუ არა

რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ფუნქციონირებადობასთან (უწყვეტობასთან) დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილია აღნიშნული განუსაზღვრელობები, ან თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის - გამოვთქვათ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, აუდიტის დასკვნის თარიღის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით, სამინისტრო შესაძლოა აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული.

) მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროს სისტემაში შემავალი და მის მიერ კონტროლირებული ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი პასუხისმგებლობა ვრცელდება კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე.

) ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით; აგრეთვე, უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

5. აუდიტორთა ხელმოწერა

აუდიტორთა ხელმოწერა:

ხელმოწერა

სახელი, გვარი

ლალ სეხნიაშვილი



წამყვანი აუდიტორი

მურმან დარაბევიძე




წამყვანი აუდიტორი

მერაბ ზაიცევი



უფროსი აუდიტორი

ბესიკ ფერაძე



აუდიტორი

6. დანართები - სამინისტროს (პროგრამული კოდი: 39 00) ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი)

დასახელება	ანგარიში	31 დეკემბერი (2017)	31 დეკემბერი (2016)
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები	1100-1200	591,079.00	216,225.00
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	720,274.00	570,503.00
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	15,578,046.00	25,848,128.00
სხვა მატერიალური მარაგები	1620	65,159.00	63,540.00
სულ მოკლევადიანი აქტივები		16,954,558.00	26,698,396.00
გრძელვადიანი აქტივები			
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	85,459,773.00	50,765,353.00
სტრატეგიული მარაგები	1610	0.00	0.00
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	65,446.00	14,859.00
ძირითადი აქტივები	2100	24,048,144.00	20,349,518.00
ფასეულობები	2300	0.00	0.00
არაწარმოებული აქტივები	2400	4,654,824.00	974,710.00
საინვესტიციო ქონება	2500		
სულ გრძელვადიანი აქტივები		114,228,187.00	72,104,440.00
ბალანსი		131,182,745.00	98,802,836.00
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	0.00	2,000,000.00
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	942,650.00	1,652,248.00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		942,650.00	3,652,248.00
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	0.00	0.00
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0.00	0.00
სულ ვალდებულებები		942,650.00	3,652,248.00
კაპიტალი			
აქტივების წმინდა ღირებულება	5100	129,628,427.00	93,111,959.00
გაუნაწილებელი მოგება	5220	611,668.00	2,038,629.00
დაუფარავი ზარალი	5230	0.00	0.00
სულ კაპიტალი		130,240,095.00	95,150,588.00
ბალანსი		131,182,745.00	98,802,836.00

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

დასახელება	31 დეკემბერი (2017)			31 დეკემბერი (2016)
	ბიუჯეტი	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	
ბიუჯეტიდან დაფინანსება	178,552,252.00		178,552,252.00	120,392,166.00
შემოსავლები (030+040+050+060)	379,773.00	1,155,428.00	1,535,201.00	28,954,667.00
გადასახადები	0.00	0.00	0.00	
სოციალური შენატანები			0.00	
გრანტები	284,666.00	0.00	284,666.00	15,989,993.00
სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)	95,107.00	1,155,428.00	1,250,535.00	12,964,674.00
ა. შემოსავლები საკუთრებიდან	18,457.00	0.00	18,457.00	267,651.00
ბ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	0.00	1,153,135.00	1,153,135.00	919,554.00
გ. სანქციები, ჯარიმები, საურავები	76,650.00	0.00	76,650.00	112,032.00
დ. ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	0.00	0.00	0.00	11,351,579.00
ე. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0.00	2,293.00	2,293.00	313,858.00
სულ (010+020)	178,932,025.00	1,155,428.00	180,087,453.00	149,346,833.00
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	3,439,760.00	158,710.00	3,598,470.00	7,065,240.00
საქონელი და მომსახურება	2,252,394.00	600,502.00	2,852,896.00	5,751,104.00
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	435,672.00	8,869.00	444,541.00	1,092,330.00
პროცენტი	4,931.00	0.00	4,931.00	4,548.00
სუბსიდიები	101,962,664.00	2,978,979.00	104,941,643.00	70,381,107.00
გრანტები	10,656,045.00	748,359.00	11,404,404.00	7,050,740.00
სოციალური უზრუნველყოფა	906,416.00	0.00	906,416.00	632,449.00
სხვა ხარჯები	21,640,903.00	35,936.00	21,676,839.00	20,257,266.00
სულ (140+150+160+170+180+190+200+210)	141,298,785.00	4,531,355.00	145,830,140.00	112,234,784.00
ფინანსური შედეგი (120-220)	37,633,240.00	-3,375,927.00	34,257,313.00	37,112,049.00

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	არასაბიუჯეტო სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	36,516,468.00	-1,426,961.00		35,089,507.00
კორექტირებები: ¹				0.00
ცვეთა (+)	435,672.00	8,869.00		444,541.00
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+) ²	-1,307,090.00	0.00		-1,307,090.00
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	2,899.00	-4,518.00		-1,619.00
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ზრდა/კლება (-/+)	-50,337.00	-250.00		-50,587.00
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	6,630,940.00	3,505,871.00		10,136,811.00
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	-1,004,478.00	294,880.00		-709,598.00
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან ³	41,224,074.00	2,377,891.00	0.00	43,601,965.00
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	0.00	0.00	0.00	0.00
ძირითადი აქტივები				0.00
სტრატეგიული მარაგები				0.00
ფასეულობები				0.00
არაწარმოებული აქტივები				0.00
საინვესტიციო ქონება				
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	6,506,306.00	26,385.00	0.00	6,532,691.00
ძირითადი აქტივები	6,506,306.00	26,385.00		6,532,691.00
სტრატეგიული მარაგები				0.00
ფასეულობები				0.00
არაწარმოებული აქტივები				0.00
საინვესტიციო ქონება				

წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან ⁴	-6,506,306.00	-26,385.00	0.00	-6,532,691.00
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	-34,694,420.00			-34,694,420.00
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა		-2,000,000.00		-2,000,000.00
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან ⁵	-34,694,420.00	-2,000,000.00	0.00	-36,694,420.00
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება ⁶	23,348.00	351,506.00	0.00	374,854.00
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	47,757.00	168,468.00		216,225.00
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	71,105.00	519,974.00		591,079.00
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)				
დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)				

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

დასახელება	(საანგარიშო წელი)		
	ბიუჯეტი	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
საწყისი ნაშთი	93,109,967.00	2,040,621.00	95,150,588.00
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები			
წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	1,992.00	-1,992.00	
გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი (010+020+030)	93,111,959.00	2,038,629.00	95,150,588.00
არასაოპერაციო შემოსავლები (030+040)	4,836,455.00	2,000,419.00	6,836,874.00
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი		388.00	388.00
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	4,836,455.00	2,000,031.00	6,836,486.00
არასაოპერაციო ხარჯები (060+070)	5,364,882.00	889.00	5,365,771.00
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი		208.00	208.00
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	5,364,882.00	681.00	5,365,563.00
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები (090+100)	588,345.00	50,564.00	638,909.00
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	588,345.00		588,345.00
მოგების გადასახადი		50,564.00	50,564.00
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	37,633,240.00	-3,375,927.00	34,257,313.00
ნაშთი წლის ბოლოს (010+020-050-080+110)	129,628,427.00	611,668.00	130,240,095.00

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დაზუსტებულ და დამტკიცებულ გეგმას შორის	ფაქტობრივი (საკასო) ხარჯი	გადახრა % ფაქტობრივ (საკასო) ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმასა შორის	დარიცხული ხარჯი	გადახრა დარიცხულ და ფაქტობრივ (საკასო) ხარჯს შორის
ხარჯები	101,700,000.00	130,776,189.00	28.59	134,941,041.00	3.09	141,298,785.00	6,357,744.00
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება	3,178,000.00	3,446,900.00	8.46	3,439,760.00	-0.21	3,439,760.00	0.00
არაფინანსური აქტივების ზრდა	575,000.00	6,569,126.00	1,042.46				
ფინანსური აქტივების ზრდა	40,700,000.00	35,104,905.00	-13.75				
ვალდებულებების კლება	0.00	2,000,000.00					

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE